ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 02 დეკემბრის

მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი;

2. ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ეკა შავიძე

3. ა(ა)იპ ,,ხარაგაულის დასუფთავების და კეთილმოწყობის გაერთიანების"- ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ოთარი ბანცაძე

4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

მომხს: პავლე კიკალიშვილი

5 .ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ხარაგაულში მდებარე ელექტრო საყრდენებზე (ბოძებზე) ოპტიკურ - ბოჭკოვანი კაბელის განსათავსებლად ელექტრო საყრდენის (ბოძის) იმ ნაწილის, რაც კაბელის დასამაგრებლადაა საჭირო პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტი“- სათვის გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 02 დეკემბრის მორიგი სხდომის

ოქმი N20

2024 წლის 02 დეკემბერი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: პაატა გოგოლაძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგი ტალახაძე, ავთანდილ კვინიკაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ავთანდილ კვინიკაძე, ეკატერინე შველიძე, კობა გოგსაძე, ინგა მაღრაძე, კონსტანტინე ბერაძე სულ საკრებულოს 26 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

ინგა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ქონების მართვის სასმსახურის უფროსი

ოთარი ბანცაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის ცენტრის "- ხელმძღვანელი,

ეკა შავიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის"- ხელმძღვანელი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

მარიამ შარიქაძე საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ა.ნიქაბაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,

ი. ბერაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი

ს. გლუნჩაძე ოპერეტორი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

2. ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ეკა შავიძე

3. ა(ა)იპ ,,ხარაგაულის დასუფთავების და კეთილმოწყობის გაერთიანების"- ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ოთარი ბანცაძე

4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

მომხს: პავლე კიკალიშვილი

5 .ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ხარაგაულში მდებარე ელექტრო საყრდენებზე (ბოძებზე) ოპტიკურ - ბოჭკოვანი კაბელის განსათავსებლად ელექტრო საყრდენის (ბოძის) იმ ნაწილის, რაც კაბელის დასამაგრებლადაა საჭირო პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტი“- სათვის გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

საკრებულოს წევრმა პარტია ,,ლელო საქართველოსთვის“ ინგა მაღრაძე დღის წესრიგის დამტკიცების პროცესში, ითხოვდა განცხადების გაკეთებას და ამის შემდეგ სხდომის დატოვებას სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 25 წევრი.

მომხრე 25

წინააღმდეგი

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია (თან ერთვის).

დღის წესრიგის დამტკიცების შემდგომ საკითხის განხილვის დროს საკრებულოს წევრმა კვლავ გააგრძელა მოთხოვნა განცხადების გასაკეთებლად, სხდომის თავმჯდომარის მიერ მას მიეთითა, რომ უკვე მიმდინარეობდა საკითხის განხილვა თვითმმართველი ერთეულის

2024 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შედეგებზე და სხვადასხვაში დაეფიქსირებია თავისი მოსაზრებები რის შემდეგაც ის წამოხტა ფეხზე და დაიწყო საკრებულოს წევრების დაბულინგება , შეურაცხმყოფელი განცხადებები უმრავლესობის მისამართით. რამდენიმე ხანში მან დემონსტრაციულად დატოვა საკრებულოს სხდომა

ამის შემდეგ სხდომა გაგრძელდა

აზრი გამოთქვეს:

პ. კიკალიშვილმა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, მან აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე, მისასალმებელია გვაქვს კარგი შედეგები შემოსავლების ნაწილში. იმედია შემოსავლები წლის ბოლომდე კიდევ გაიზრდება.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე

საკრებულომ ინფორმაცია კენჭის ყრის გარეშე მიიღო ცნობად (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ხელმძღვანელის ეკა შავიძის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

შ. ხიჯაკაძემ საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა მომხსენებელს ვარძიაში მაცხოვრებელი ინვალიდისათვის ეტლის გადაცემის გამო,

ლ. აბაშიძემ ასევე მადლობა გადაუხადა მომხსენებელს გაწეული საქმიანობისათვის და დააყენა წინადადება დადებითად შეფასების თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს წევრის ლ. აბაშიძის წინადადება სამსახურის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 25 წევრი.

მომხრე 24

წინააღმდეგი 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს ,ხარაგაულის დასუფთავების და კეთილმოწყობის გაერთიანების"- ხელმძღვანელის ოთარი ბანცაძის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ბ. კვირიკაშვილმა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე საქმიანობას აფასებს დადებითად, მაგრამ არის საკითხები რომლებიც საჭიროებს

მოგვარებას, კერძოდ თაბუკაშვილისა და პატარა ხარაგაულის ქუჩების დასუფთავება, თუნდაც კვირაში ერთხელ.

ო. ბანცაძემ მომხსენებელმა უპასუხა, რომ ეგ საკითხი უკვე მოგვარებულია.

ი. პაქსაშვილმა საკრებულოს წევრმა დასვა შეკითხვა მიუსაფარი ძაღლების საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით რა ღონისძიებები ტარდება

ვ. ჭიპაშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ უპასუხა, რომ სანამ საკითხი რეგიონის დონეზე არ გადაწყდება ცალკეული მუნიციპალიტეტის ვერ უზრუნველყოფს პრობლემის მოგვარებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის ბ. კვირიკაშვილის წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 25 წევრი.

მომხრე 25

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული მე -4 საკითხის განხილვის პერიოდში სხდომის მიმდინარეობისას საკრებულოს სხდომაზე შემოვიდა მოქალაქე მიხეილ ჭიპაშვილი, (საკრებულოს წევრის ინგა მაღრაძის მეუღლე) რომელიც გამოირჩეოდა აგრესიული ტონით საკრებულოს წევრების მიმართ და აპროტესტებდა თუ რატომ არ მიეცა საკრებულოს წევრს სხდომაზე განცხადების გაკეთების უფლება და აცხადებდა, რომ არ მისცემდა სხდომის გაგრძელების უფლებას, საკრებულოს წევრები მას მოუწოდებდნენ დამშვიდებისაკენ, რაც მისი მხრიდან არ იქნა გათვალისწინებული, სავარაუდოდ ის იმყოფებოდ ალკოჰოლური თრობის ქვეშ.

სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის მიერ მდგომარეობის განმუხტვის მიზნით საკრებულოს სხდომაზე გამოცხადდა 15 წუთიანი შესვენება.

სხდომა განახლდა შესვენების შემდეგ

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის პავლე კიკალიშვილი ინფორმაცია საკითხზე - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 25 წევრი.

მომხრე 25

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ინგა ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე .ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ხარაგაულში მდებარე ელექტრო საყრდენებზე (ბოძებზე) ოპტიკურ - ბოჭკოვანი კაბელის განსათავსებლად ელექტრო საყრდენის (ბოძის) იმ ნაწილის, რაც კაბელის დასამაგრებლადაა საჭირო პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტი"- სათვის გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 25 წევრი.

მომხრე 25

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**